სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030650364843915

06 / ოქტომბერი / 2015 წ. **თბილისი #06-180/ო**

სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურ დირექტორს, გენერალური დირექტორის მოადგილეებს შორის უფლებამოსილების განაწილებისა და ზოგიერთ სტრუქტურული ერთეულისათვის ფუნქციების დელეგირების შესახებ

„სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის # 107/ნ ბრძანების მე - 5 მუხლის მე -3 პუნქტის ''გ'' და მე - 4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) გენერალური დირექტორის, გენერალური დირექტორის მოადგილეების და ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილება განისაზღვროს შემდეგი წესით:
ა) გენერალური დირექტორი, ამირან გამყრელიძე კურაციას უწევს:
ა.ა) ხარისხის კონტროლის სამმართველოს;
ბ) გენერალური დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პაატა იმნაძე კურაციას უწევს:
ბ.ა) ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით ცენტრს;
ბ.ბ) ცენტრის მუშაობას სამეცნიერო მიმართულებით, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო პროგრამების განხორციელებას;
გ) გენერალური დირექტორის მოადგილე ეკატერინე ქავთარაძე კურაციას უწევს:
გ.ა) სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტს;
გ.ბ) გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტს;
გ.გ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტს;
დ) გენერალური დირექტორის მოადგილე ირმა ხონელიძე კურაციას უწევს:
დ.ა) არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტს;
დ.ბ) სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტს;
დ.გ) აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზის და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ფონდთან (The Global fund to fight AIDS, Tuberculosis and Malaria) – (შემდეგში - გლობალური ფონდი) გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილ პროგრამების მართვის ჯგუფს;
ე) გენერალური დირექტორის მოადგილე ტარიელ ჭანტურიძე კურაციას უწევს:
ე.ა) ადმინისტრაციულ დეპარტამენტს;
ე.ბ) საფინანსო - ეკონომიკურ დეპარტამენტს.
2. გენერალური დირექტორის მოადგილე ირმა ხონელიძე, რომელიც განსაზღვრულია გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამების დირექტორად, კოდირების აუტენტიფიკაციის მოწყობილობის (ე.წ. დიჯიპასი) მეშვეობით ახორციელებს გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული („ტუბერკულოზის ყველა ფორმის, მათ შორის რეზისტენტული ტუბერკულოზის ხარისხიანი დიაგნოსტირებისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა" და „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის მიზნით

არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით“) პროგრამების, ასევე „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროგრამული (35 03 02 07 და 35 03 02 08 - აივ ინფექცია/შიდსის და ტუბერკულოზის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების შესყიდვა და სოციალური დახმარება) კოდების ფარგლებში განსახორციელებელ ფინანსურ ოპერაციებს.

3. გენერალური დირექტორის მოადგილე ტარიელ ჭანტურიძე, კოდირების აუტენტიფიკაციის მოწყობილობის (ე.წ. დი-ჯი- პასი) მეშვეობით, ახორციელებს ცენტრის ფინანსურ ოპერაციებს, გარდა, გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის პროგრამების ფინანსური ოპერაციებისა.

4. 50 000 ლარს ქვემოთ, გასაფორმებელ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებს ხელს აწერენ:

ა) ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერების შემთხვევაში, გენერალური დირექტორის მოადგილეები: პაატა იმნაძე, ეკატერინე ქავთარაძე, ტარიელ ჭანტურიძე, როგორც, გენერალური დირექტორის 2015 წლის 25 თებერვლის #06-38/ო ბრძანებით განსაზღვრული კომისიის თავმჯდომარეები;

ბ) გამარტივებული შესყიდვების შემთხვევაში:

ბ.ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, გენერალური დირექტორის მოადგილე ეკატერინე ქავთარაძე;

ბ.ბ) ამერიკის შეერთებული შტატების „დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი’’- ს (CDC); ამერიკის შეერთებული შტატების „თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტო“-ს (DTRA); „სსიპ-ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის ლაბორატორიებისათვის საჭირო აღჭურვილობის, სახარჯი მასალების და რეაქტივების სიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის #184 დადგენილების; ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო); გაეროს კრიმინალისა და სამართლის რეგიონალთაშორისი კვლევითი ინსტიტუტის UNICRI; ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის (NATO) და ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კავშირის პროგრამების ფარგლებში, სპეციფიკური /პროფილური შესყიდვის განხორციელებისას გენერალური დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძე;

ბ.გ) სხვა დანარჩენი შესყიდვის შემთხვევაში, გენერალური დირექტორის მოადგილე ტარიელ ჭანტურიძე, გარდა გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი შესყიდვებისა.

5. საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროგრამული (35 03 02 07 და 35 03 02 08 - აივ ინფექცია/შიდსის და ტუბერკულოზის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების შესყიდვა) კოდების და აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული („ტუბერკულოზის ყველა ფორმის, მათ შორის რეზისტენტული ტუბერკულოზის ხარისხიანი დიაგნოსტირებისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ და „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით“) პროგრამების ასიგნების ფარგლებში განსაზღვრული ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერების ან/და გამარტივებული შესყიდვების საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებს ხელს აწერს გენერალური დირექტორის მოადგილე ირმა ხონელიძე.

6. გენერალური დირექტორი, პირადი გადაწყვეტილებით, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, იღებს გადაწყვეტილებას ხელი მოაწეროს ნებისმიერ ხელშეკრულებას, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლების მიუხედავად.

7.გენერალური დირექტორის მოადგილეები, უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფენ, გლობალურ ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილი ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის პროგრამების მართვის ჯგუფისა და ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის შეუფერხებელ ურთიერთობებს.

8. გენერალური დირექტორის მოადგილეები ხელს აწერენ საკურაციო სფეროების მიხედვით, ან საჭიროების შემთხვევაში, სხვა სტრუქტურულ ერთეულებში მომზადებულ, ცენტრიდან გასულ კორესპონდენციას, გარდა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ვიცე - სპიკერების, კომიტეტის თავმჯდომარეების, საქართველოს პარლამენტის სხვა თანამდებობის პირთა, საქართველოს პრემიერ მინისტრის, მინისტრების, მინისტრების მოადგილეების, მთავრობაში შემავალი სხვა წევრების, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარის, ასევე, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა სახელზე მომზადებული კორესპონდენციისა.

9. გენერალური დირექტორის მოადგილეები ხელს აწერენ და ავიზებენ საკურატორო სფეროებში მომზადებულ ნებისმიერ სამართლებრივ და სხვა შინაარსის დოკუმენტს; საჭიროების შემთხვევაში, ასევე, სხვა სტრუქტურულ ერთეულებში მომზადებულ დოკუმენტაციას.

10. საერთაშორისო პროექტების ფარგლებში გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმომწერი პირები

(გარდა შესყიდვების ხელშეკრულებების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარებების აქტებზე ხელმომწერი პირებისა) განისაზღვრება ცენტრის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. შესაძლებელია მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მომწერი პირი განისაზღვროს კონკრეტული შემთხვევისათვის გაფორმებული შეთანხმება/მემორანდუმის საფუძველზე.

11.გენერალური დირექტორის ხელმოსაწერ კორესპონდენციას, ვიზას აძლევს იურიდიული სამმართველოს უფროსი.

12. საფინანსო - ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, სავალდებულო წესით, ვიზას აძლევს ცენტრში მომზადებულ ან განსახორციელებელ, ყველა ტიპის ხელშეკრულებას (მათ შორის საგრანტო) და სხვა ტიპის ფინანსურ დოკუმენტს.

13. დამტკიცდეს, გლობალურ ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილი პროგრამის მართვის ჯგუფის მიერ, ცენტრის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტისათვის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული მოდულის მეშვეობით (NOM) მისაწოდებელი ინფორმაციის (დოკუმენტაციის) ჩამონათვალი და ინფორმაციის (დოკუმენტაციის) მიწოდებაზე პასუხისმგებელ პირთა ნუსხა დანართი #1 შესაბამისად.

14. გლობალურ ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მოწოდებული საქონლის აღრიცხვა განახორციელოს გლობალურ ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილი ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის პროგრამების მართვის ჯგუფმა ცენტრში არსებული ლოჯისტიკური პროგრამის მეშვეობით.

15. გლობალურ ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულებით დაფინანსებული პროგრამების საბუღალტრო დოკუმენტაცის დამუშავება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ამ პროგრამების ფინანსური აღრიცხვა ელექტრონული საბუღალტრო პროგრამა ''ორისი''-ს მეშვეობით, განახორციელოს გლობალურ ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილი ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის პროგრამების მართვის ჯგუფმა.

16. გენერალური დირექტორის მოადგილეები ასრულებენ გენერალური დირექტორის მიერ სხვა ბრძანებებით განსაზღვრულ მოვალეობებს და გენერალური დირექტორის ცალკეულ დავალებებს.

17. გენერალური დირექტორის მოადგილის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვლეობას ასრულებს, გენერალური დირქტორის ბრძანებით განსაზღვრული ერთ-ერთი მოადგილე.

18. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურ დირექტორს, გენერალური დირექტორის მოადგილეებს შორის უფლებამოსილების განაწილებისა და ზოგიერთ სტრუქტურული ერთეულისათვის ფუნქციების დელეგირების შესახებ" სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2014 წლის 26 ივნისის #06-121/ო ბრძანება.

19. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

20. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი).

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე